პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 12 ივნისი 1925 წ.

წლიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი მეომარი

№ 129 (827) | 1-ლი და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## ...მ საზიზღრობას დაუყონებლივ უნდა მოეღოს ბოლო.

...ამ უკანასკნელ ხანებში ჩვე... ...ი ჯარის ცხოვრებაში თავი ...ჩინა ერთმა ბოროტებამ, რომ... ...ის წინააღმდეგ აქედანვე მი... ...ებულ უნდა იქმნას გადამჭ... ...ელი და დაუზოგველი ზომე... ...ი. ეს არის სამხკორების დევ... ...ა. სამხკორთა დევნის მაგალი... ...ებს წინადაც ქონდა ადგილი ...ა პოლიტგანყოფილებამ სა... ...ანადო ცირკულიარიც დაგზავ... ...ა ამის შესახებ.

მაგრამ როგორც სჩანს ამ ცირ... ...ულიარმა არ გასჭრა.

რედაქციაში კვლავ მოდის ...ერილები ნაწილებიდან, რომ... ...ებიც მოგვითხრობენ სამხკო... ...ების დევნის შემთხვევებს ...ვენი ჯარის ნაწილებში.

ეს დევნა გამოიხატება ჯერ... ...ერობით შემდეგში: თუ რო... ...ელიმე სამხკორმა გამოამჟღავ... ...ა რაიმე ბოროტმოქმედება ...ს მყისვე ეძებენ ნაწილში, სც... ...ილობენ მის ვინაობის გაგებას, ...ანძლავენ და ემუქრებიან; არის ...რეთვე დაცინვის და ათვა... ...ისწუნების შემთხვევები; ძლი... ...ს ხშირად წინასწარ სინჯავენ ...მხკორების წერილებს და სხ...

ერთი სიტყვით სამხკორთა ...ევნა ჩვენს ჯარში უკვე სი... ...მდვილეა. მართალია ის ჯერ ...ქარის, დაცინვის, გინების სა... ...ღვრებს არ გასცილებია, მაგ... ...ამ სანამ გასცილდებოდეს, ამ ...ძაგლობას მანამდე ძირშივე ...ნდა მოეღოს ბოლო.

სამხკორი წითელი არმიის ...უკეთესი მეგობარია. თავისი ...უშაობით სამხკორი ხელს უწ... ...ობს წითელი სამხედრო პრე... ...ის, გაძლიერების განვითარე... ...ის და ამით კი მთელი წითელი ...რმიის განმტკიცების საქმეს. ...იტომაც სამხკორთა მუშაო... ...ს ნაწილში ხელი უნდა შე... ...წყოს ყოველ მხრივ, განსა... ...უთრებით ნაწილის პარტ-ორ... ...ანიზაციის მიერ.

უნდა ითქვას მართალი რომ ...მხკორთა დევნის მთავარი მი... ...ეზი ჩვენს წითელ ჯარში არის ის გარემოება, რომ ნა... ...წილის პარტორგანიზაციები არავითარ ყურადღებას არ აქ... ...ცევდენ სამხკორთა მუშაობას და არ ხელმძღვანელობენ იდე... ...ურათ მათ.

ეს დიდი ნაკლი ჩვენმა პარტორგანიზაციებმა დაუყონებლივ უნდა გამოასწორონ.

და არა თუ პარტია უნდა შეებრძოლოს ასეთ საზიზღარ ბოროტებას, როგორც სამხკორთა დევნაა, არამედ მთელი წითელ-არმიელთა მასა, ყველა მეთაურები და პოლიტ-მომუშავენი. ყოველი ნაწილის ხელმძღვანელი ვალდებულია ყოველმხრივ ხელი შეუწყოს სამხკორების მუშაობას და მათი რიცხვის ზრდას.

ვინც ამას არ ასრულებს და დაცინვის, ლანძღვა-გინების, წინასწარი ცენზურის სახით ებრძვის სამხკორებს—ის წითელი არმიის და საბჭოთა ხელისუფლების ორგულია.

სამხკორის მტერი—მუშების და გლეხების მტერია.

ერთხელ და სამუდამოთ უნდა შეიგნოს ყველამ, რომ მოთავსებულ კორესპონდენციების სისწორისათვის პასუხისმგებელი არიან რედაქცია და სამხკორი და არავის უფლება არ აქვს დასაჯოს ეს უკანასკნელი თავისი ნებით.

ჩვენმა ნაწილებმა ამ თავითვე უნდა მიიღონ სასტიკი ზომები სამხკორთა დევნის ყოველგვარ ნასახის ძირშივე აღმოსაფხვრელად და ხელი შეუწყონ ჩვენი გაზეთის თანამშრომლობაში ფართე წითელ არმიელთა მასის ჩაბმას.

აგრეთვე საჭიროა სასწრაფო კამპანიის ჩატარება სამხკორთა მუშაობის და მისი მნიშვნელობის შესახებ.

სამხკორთა დევნას უნდა გამოეცხადოს სასტიკი ომი!

ამ საზიზღრობას სამუდამოთ უნდა მოეღოს ბოლო ჩვენს რიგებში.

და რაც შეიძლება ადრე!

## საბჭოთა ავიაცია გამოცდებს ბრწყინვალედ ჩააბარებს.

...დღეს საბჭოთა კავშირის ...ველა მშრომელნი დიდის ინ... ...ერესით ადევნებენ თვალყურს ...მ დიდ ამოცანის შესრულე... ...ას, რომელსაც შეუდგა ახალ... ...აზრდა საბჭოთა ავიაცია.

ეს ამოცანაა სივრცე—მოსკოვი, მონღოლეთი, ჩინეთის ...დაფრენა. ეს მეტის მეტად ...დიდი მანძილია. მასთან ძნელი ...ა სახიფათოო.

სულ ორიოდე წელია, რაც ...აძირკველი ჩაეყარა წითელი ავიაციის საფუძვლიან აღმშენებლობას.

ამ მცირედი ხნის განმავლობაში მან იმდენათ გაშალა ფრთები, განვითარდა და გაძლიერდა, რომ დღეს სდგას დიდ გამოცდის წინაშე.

ამ გადაფრენით ჩვენ დავინახავთ თუ რამდენათ გამტკიცდა საავიაციო საქმე საბჭოთა კავშირში.

გადაფრენაში მონაწილეობას ღებულობენ წითელი მფრინავები და ექვსი თვით მფრინავი. ოთხი თვითმფრინავი გაკეთებულია საბჭოთა საავიაციო ქარხნებში.

ამრიგად ამ გადაფრენას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივაც, თუ რამდენად მაღლა სდგას ავიო მრეწველობა საბჭოთა კავშირში. მსგავსი მსოფლიო მნიშვნელობის გადაფრენები ევროპაშიც მოახდინეს და კარგი შედეგებითაც, მაგრამ მთავრდა. ჩვენი წითელი ავიაცია ბურჟუაზიულ ავიაციასთან შედარებით ძლიერ ახალგაზრდაა.

მაგრამ მიუხედავათ იმისა ის იმდენათ გაძლიერდა, რომ უკვე მეტოქეობას უწევს მიღწევების მხრივ დიდათ განვითარებულ ბურჟუაზიულ ავიაციას.

მოსკოვი, მონღოლეთი, ჩინეთის სივრცის გადაფრენა — ეს უდიდესი მიღწევა იქნება საბჭოთა ავიაციისათვის.

ასეთი დიდი გადაფრენა პირველად ხდება საბჭოთა კავშირში. გადაფრენის გზა იშვიათი სიძნელეებით და დაბრკოლებებითაა აღვსილი.

მაგრამ როგორც თვით ექსპედიციის უფროსმა ამხ. შმიდტმა განაცხადა: „მიუხედავათ ყოველგვარი სიძნელისა და დაბრკოლებისა, ჩვენ მაინც ბოლშევიკური შეუდრეკლობით უდგებით გზასო".

ამ გადაფრენას კიდევ ერთი დიდი მნიშვნელობა აქვს. ის უფრომჭიდროთ დაგვაახლოებს ჩინეთის ხალხთან, რომელთანაც ეს რამოდენიმე ხანია, რაც მტკიცე კეთილმეზობლური კავშირი დავამყარეთ.

განსაკუთრებით დიდათ სასიხარულო იქნება ჩინეთის მშრომელთა მასებისათვის წითელ თვითმფრინავების სტუმრობა ამჟამად, როცა ის დიდ ისტორიულ მომენტს განიცდის.

ასეთია ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქვს ამ გადაფრენას. ექსპედიცია უკვე გაემგზავრა.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ წითელი საჰაერო ექსპედიცია ბრწყინვალედ დაავირგვინებს მასზე დაკისრებულ დიდ ამოცანას და მით დიდათ შეუწყობს ხელს საბჭოთა კავშირის და ჩინეთის ძმურ კავშირს.

—ე.

# ახალი რადიო-ამბები

## ჩინეთის ამბები.

### შანხაი სამხედრო ბანაკს წარმოადგენს.

— არსდება ახალ-ახალი ორგანიზაციები — უცხოელთა შეიარაღებული ძალა 8.000 კაცამდი აღწევს.

— 80 ჩინურმა გაზეთმა გამოუშვა მანიფესტი, რომელშიაც პროტესტს აცხადებენ ძალმომრეობის წინააღმდეგ.

შანხაის მუნიციპალიტეტის ჩინელი მრჩეველები გადადგენ. უცხოელთა უბანი ისეა გამაგრებული, რომ სამხედრო ბანაკს წარმოადგენს.

გაფიცვები იზრდება.

შანხაიში ყოველგან გაკრულია შემდეგი შინაარსის პლაკატები:

საპროტესტო მოძრაობა არ არის საერთოდ უცხოელების წინააღმდეგ მოძრაობა. მოძრაობის მონაწილენი პროტესტს აცხადებენ მხოლოდ ეგრედ წოდებულ განათლებული ერების არა ადამიანურ მოპყრობის წინააღმდეგ. მოძრაობის მონაწილენი დარწმუნებული არიან, რომ თანამგრძნობი უცხოელები შესძლებენ მათდამი დახმარებას.

## არსდება ახალ-ახალი ორგანიზაციები.

მთელს ჩინეთში არსდება სულ ახალ-ახალი ორგანიზაციები. ყოველ-დღიურად მიდის ცალკე ორგანიზაციების დემონსტრაციები. ჩინეთის ეროვნული უნივერსიტეტი დაჟინებით მოითხოვს ინგლისისა და იაპონიის რწმუნებულთა გაყვანას. იკრიბება ფულები გაფიცულებზე დასახმარებლად.

## უცხოეთის ჯარები შანხაიში.

შანხაის ნავთსადგურში ამჟამად იმყოფება 24 უცხოელი სამხედრო გემი: 10 ამერიკის, 5 იაპონიის, 4 ინგლისის და ერთი იტალიის. გემებზე იმყოფება 4.500 კაცი, ნაპირებზე გადმოსხმულია 3.000.



ამხ. ფილიპოვიჩი.
რუმინეთის კომუნისტი ქალი, რომელიც შიმშილობდა ციხეში 18 დღე.

## ეშინიათ.

დიპლომატიურ კვარტალში ეშინიათ, რომ დემონსტრანტები არ შეიჭრენ შიგ. კვარტალს იცავს უცხოელი რაზმები. მოსალოდნელია გაფიცვების დიდი გაძლიერება.

## გაფიცულთა გაერთიანებული კომიტეტის მოთხოვნილება.

გაფიცულთა გაერთიანებულმა კომიტეტმა შეიმუშავა მოთხოვნილებები, რომლებიც უნდა წარუდგინონ უცხოელებს. კომიტეტი მოითხოვს: სამხედრო წესების გაუქმებას, მოხალისეთა დემობილიზაციას, ჯარების გაყვანას, პატიმართა განთავისუფლებას, მუშათა დახვრეტაში დამნაშავეთა დაპატიმრებას და პასუხისგებაში მიცემას და სხვა.

## გომინდანის ცეკას მოწოდება.

გომინდანის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია:

„ინგლისის იმპერიალისტების მხეცური მოქმედება—ჩინელების ჟლეტა მათსავე ტერიტორიაზე მოწმობს იმას, რომ ინგლისი აწარმოებს ჩინეთში იმავე პოლიტიკას, როგორც ინდოეთში და ეგვიპტეში. გომინდანი მოუწოდებს ხალხს ერთხმად აღსდგენ ძალადობის წინააღმდეგ".

## რა ხდება ცანკოვის სამფლობელოში.

### ბულგარეთის ჯალათები ანადგურებენ მშრომელებს.

დღემდის დაპატიმრებულია 15.000 კაცი. სასამართლოს გარეშე მოკლულია 320. სიძვირე საოცრად იზრდება.

გიორგი დმიტროვმა გადასცა რედაქციას მის მიერ მიღებული წერილი კომპარტიის თანაგრძობ ბულგარელ უპარტიოებისაგან, რომელშიაც ავტორი სწერს:

„თეთრი ტერორის მძვინვარება უკიდურესობამდი აღწევს. აფეთქება კომუნისტების მოწყობილი არაა. პროცესიდან, რომელიც ნამდვილ კომედიას წარმოადგენდა, გამოირკვა, რომ აფეთქება მოხდა ტერორისტების ჯგუფის თაოსნობით. აფეთქების შემდეგ დაპატიმრებულთა რიცხვი 15.000 კაცს აღემატება; სასტიკად სცემენ 3.000 კაცს. სასამართლოს გარეშე მოკლულთა რიცხვი უდრის 320-ს.

მკვლელობა დღემდის გრძელდება. პეტრინი და კასოვსკი მხეცურად იქნენ მოკლული. პეტრინი ჩამოჰკიდეს კაუჭზე ნიკაპით და სანამ მოკვდებოდა, ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა. სოფიის ოხრანკიდან ხშირად აგდებენ სიკვდილამდე ნაცემ პატიმრებს. ასეთი მოქმედებით დაღუპულთა რიცხვში შედის შენი ძმა თედორე.

სამუშაოდან ითხოვენ ყველა ცოტად-თუ ბევრად შეგნებულ მუშა-მოსამსახურეებს. სამსახურში იღებენ პოლიციის მოწმობით. სამუშაო დღე 10-11 საათს და მეტს უდრის. სიძვირე და ბინის კრიზისი საშინლად გაიზარდა. ასეთია დღევანდელი ბულგარეთის სურათი".

# საბჭოთა კავშირში

## მოსკოვ--მონღოლეთ-ჩინეთის საჰაერო ექსპედიციის გაფრენა.

10 ივნისს ტროცკის სახელობის ჰაეროდრომიდან გაფრინდა მოსკოვ—მონღოლეთ-ჩინეთის ექსპედიცია. გაფრენას დაესწრო სხვა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები. ილაპარაკეს რიკოვმა, სამოქალ აქო ავიაციას საბჭოდან მუკლევიჩმა, „დობროფლოტის“ წარმომადგენელმა კსანდროვმა და ექსპედიციის ხელმძღვანელმა შმიდტმა, რომლებმაც დაახასიათეს საბჭოთა ავიაციის მდგომარეობა და მნიშვნელობა.

შემდეგ რიკოვმა დაათვალიერა თვითმფრინავები, რის შემდეგ ისინი ერთი მეორეზე აეშვენ მაღლა ჰაეროდრომზე.

## ძლიერი ქარიშხალი შავ ზღვაზე.

სამი დღის განმავლობაში შავ ზღვაზე სევასტოპოლის სანაპიროებში მძვინვარებდა ძლიერი ქარიშხალი. ზღვამ გაიტაცა დასასვენებელი სახლიდან ერთი ნავი 20 მუშით. მუშები გადაარჩინეს.

# პარტიის კანდიდატების პოლიტიკურ მომზადების შესახებ.

ჩვენი უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს პარტიის კანდიდატების პოლიტიკურ მომზადებას, რომ ამით საშვალება მივსცემთ მათ დროზედ გახდენ პარტიის სრულუფლებიანი წევრები.

მაგრამ გამოცდებიდან ვრწმუნდებით, რომ ამ საქმეს ნაკლები ყურადღება ექცევა ნაწილების ორგანიზაციების მხრივ. თანახმად ჩვენი დებულებისა პარტ-მშენებლობის შესახებ ნაწილებში ეწყობიან პარტსკოლები, სადაც უნდა გადიოდენ პარტიის წესდებას, ისტორიას და სხვა. მაგრამ, ხშირად კოლექტივის მიერ პარტიის წევრათ დამტკიცებელ ამხანაგმა არ იცის წესდების არც ერთი თავი, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ერთი ვიკითხოთ, როგორი კომუნისტი ის, რომელმაც პარტიის წესდება არ იცის

როგორი პარტიის წევრია ის, რომელიც გაზეთს არ კითხულობს და პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრების საკითხები და მსვლელობა არ აინტერესებს.

უნდა ითქვას რომ ყოველივე ამაში დანაშაული მიუძღვის უპირველესად ხელმძღვანელ ორგანიზაციას, რომლის მოვალეობას შეადგენს, ჯეროვანათ მოაწყოს სკოლები, შეარჩიოს მომზადებული ხელმძღვანელები და სხვა.

მართლადაც რას ვხედავთ სინამდვილეში? მას რომ, როდესაც ვცდით ამა თუ იმ პირს პარტიაში მიღების დროს, ყოველთვის სუსტათ გვიპასუხებს ეს იმიტომ ხდება რომ მას ნაკლებათ ამეცადინებენ სკოლაში ანდა ამ მეცადინეობას არ აქვს სისტემატიური, გეგმიანი ხასიათი. თორემ, როგორ შეიძლება საკანდიდატო სტაჟ განვლილმა ამხანაგმა უბრალო კითხვაზედ ვერ მოგცეს პასუხი?

დროა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება ადგილობრივ ორგანიზაციებმა და დაუყონებლივ შეუდგენ მის მოგვარებას.

აქვე უნდა ავღნიშნოთ კანდიდატების თვით მომზადების შესახებ. ბევრი ისეთი კანდიდატები გვყავს ნაწილებში, რომლებსაც სკოლის გარეშეც შეუძლიათ მოემზადონ. მაგრამ როგორც სჩანს, ზოგიერთები ამისათვის ნაკლებ დროს ხარჯავენ.

ყველამ კარგათ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ არ გვინდა ისეთი პირები ვიყოლიოთ პარტიაში, რომლებსაც მარტო აინტერესებს მანდატი და კომუნისტის სახელწოდება. ასეთებს უჩვენებთ გზას იქით საიდანაც მოვიდნენ.

ჩვენი ინტერესია, რათა ჩვენი რიგები ივსებოდეს ისეთი ამხანაგებით, რომლებიც შეგნებულად მოდიან პარტიაში და მთელი თავის ენერგიას, ძალას და ცოდნას მოახმარებენ საბჭოთა ხელისუფლებისა და მშრომელი კლასის კეთილდღეობას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი პირი კარგა ხანს არიან დარჩენილი კანდიდატებათ და წევრებათ არ გადავიყვანეთ იმიტომ, რომ სათანადო მომზადებას მოკლებული არიან.

ასეთი პირები მართალია ცოტა გვყავს, მაგრამ ყველამ კარგათ უნდა იცოდეს, რომ ვინც სათანადო უნარს არ გამოიჩენს პოლიტიკურ მომზადებაში, განსაზღვრულ დროის განმავლობაში, ასეთებს არა კომუნისტ ელემენტათ ჩავთვლით და ჩამოვართმევთ კანდიდატობის უფლებასაც. ჩვენ უნდა ავიღოთ მტკიცე ხაზი და უთხრათ ყველას, რომ ვინც მოდის ჩვენს პარტიაში ისინი უნდა იყოს პოლიტიკურად მომზადებული და შეგნებული. უამისოთ ის ვერ გამოადგება ვერც პარტიას და ვერც მშრომელთა ხალხს.

ს. ლომიძე.

# სამხედრო საქმე ბანაკში.

## საზაფხულო სწავლებისათვის.

### V. ათეულისა და ოცეულის საბრძოლო მომზადება.

გარდა შემოწმებისა,-თუ როგორ შეითვისა ათეულის მებრძოლებმა საბრძოლო ამოცანები შეტევითი ბრძოლის სწავლების დროს,-საჭიროა შემდეგი საკითხის დამუშავება: **როგორ უნდა ჩატარდეს და რაში უნდა გამოიხატებოდეს ათეულის მუშაობა პირველი ცეცხლის ზღვარის დაჭერისას შეტევაზე გადასვლის დროს.**

ეს სწავლება ცხადია, დაწყებულ უნდა იქნას 1000-900 მეტრის მოშორებით მტრისაგან; ამ მანძილზე აქა-იქ დაყენებულ უნდა იქნას მეომრები „ფლაგებით“ მტრის ცეცხლის საჩვენებლად.

მეცადინეობის დაწყებისას ათეული უნდა მოთავსდეს რაც შეძლება ფარულად, რამდენადაც ადგილ-მდებარეობა ამის ნებას იძლევა და აქედან დაწყებულ უნდა იქნას პირველი ზღვარიდან ცეცხლის წარმოების სწავლება.

მეცადინეობის დაწყებისას ათეულების მოთავსების საერთო სურათი შემდეგ ნაირია: 1) მსროლელი განყოფილებები ჩასაფრებული არიან ადგილზე და ემზადებიან პირველი ცეცხლის ზღვარის დასაჭერად, 2) ტყვია-მფრქვევების განყოფილებები იჭერენ მოხერხებულ ადგილებს და ელოდებიან ოცეულის მეთაურის განკარგულებას ცეცხლის გასაშვებად. საჭირო ცნობების მიღების შემდეგ ათეულის უფროსებისაგან, ოცეულის უფროსები განკარგულებას აძლევენ ტყვიამფრქვევებს გაუშვან ცეცხლი ამა თუ იმ მიზნისაკენ, რომელიც ხელს უშლის მსროლელ ათეულების წინსვლას.

ტყვიამფრქვევების ცეცხლის საშუალებით, მსროლელთა ათეულები იწყებენ პირველ ცეცხლის ზღვარის დაკავება პირველად ცეცხლის ზღვარ გადის ათეულის უფროსი, ირ ჩევს საბოლოოდ ათეულის მ სათავსებელ ზღვარს და აცნ ბებს (პირობითი ნიშნით) თ ვის მოადგილესა და ათეულ მეომრებს-წინ წაიწიონ.

წინსვლის წესრიგი დამოკ დებულია უმთავრესად ადგილ მდებარეობაზე.

თუ რომ ცეცხლის ზღვ რამდი შეიძლება ფარულა მისვლა, ათეული ერთად მ ძრაობს, წინააღმდეგ შემ ხვევაში—სათითაოდ.

ამასთან მეომრებმა უნდ შეისწავლონ სათითაოდ გადარ ბენა ისე, რომ ათეულიდა ერთი კაცის მეტი არ გადარ ბოდეს. როგორც კი პირველ მეომარი გადაირბენს და დ ვება, ამ დროს დაიწყებს გ დარბენას მეორე და ასე შ დეგ. გადარბენა უნდა სწა მოებდეს სწრაფად, ხოლო გ დარბენის მანძილი უნდა უ რიდეს 25—35 ნაბიჯს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ე თი დამახასიათებელი შემთხვ ვა, რომელსაც ხშირად ჰქ ნია ადგილი დღემდის: გადარ ბენის დროს მეომარი ყოვე თვის ცდილობს რაც შეიძლ ბა ახლოს მოთავსდეს თავ ამხანაგთან, რაიც დიდი შე დომაა. ასეთი გარემოება ს შუალებას აძლევს მტერს მ ტი ზარალი მოგვაყენოს დ მეორედ-ზღვარის დაკავებ დროს მეომრები ვერ მოხვდ ბიან თავთავიანთ ალაგას დ მათ მოუხდებათ მარჯვნ მარცხნივ, წინ, ან უკან და ნება. რასაკვირველია ეს ეხე იმ ადგილებს, სადაც არა თარი საფარი არ მოიპოვება.

 პ.

## ძაღლები სამხედრო სამსახურში.

ამ უკანასკნელ დროს საკავშირო რესპუბლიკების სამხედრო უწყებამ დიდი ყურადღება მიაქცია ძაღლების გაწრთვნას და მათ გამოყენებას სამხედრო მიზნებისათვის. საკავშირო რესპუბლიკების რევოლიუციონური საბჭოს დადგენილებით წითელ არმიაში ეწყობა ძაღლების გასაწრთვნელი დაწესებულებანი, რომელიც რასაკვირველია დიდათ ხელს შეუწყობდა დაზვერვის საქმეს. საომარ მოქმედების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ იქნეს გათვალისწინებული და შესწავლილი მოწინააღმდეგის საერთო მდგომარეობა და მათი ძალთა განწყობილება.

აქ ძაღლებს შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს ჯარს. იმპერიალისტური ომების დროს გერმანელები და ფრანგები ფართოდ სარგებლობდნენ ასეთი ძაღლებით და მათი დახმარებით აგზავნიდნენ თხრილებში წერილებსა და საომარ მასალებსაც. მართლაც ძაღლებს, რომლებსაც ომში აგზავნიან შეუძლია დიდი დახმარება გაუწიონ ჯარს დასმენის (донесение) საქმეში. შეიძლება აგრეთვე მათი გამოყენება სატელეფონო მავთულების გაყვანაში იმ დროსაც კი, როდესაც გახურებული ბრძოლა სწარმოებს ჰაერომფრინავები თუ დასმენას (донесение) გადმოყრიან, ასეთ გაწვრთნილ ძაღლებს შეუძლია მათი მონახვა და აკრეფა ზოოლოგიაში დამტკიცებულია, რომ ძაღლი შინაურ ცხოველთა შორის ყველაზე უფრო გონიერი ცხოველია.

მაგრამ მიუხედავათ ამი საჭიროა სამხედრო სამსახურ სათვის იქნეს მონახული ისე ძაღლები, რომლებიც უფ დაჯილდოვებულნი არიან ლალი გონიერებით, მახვილი ს ნით და მხედველობით საჭირ აგრეთვე რომ სამხედრო ძა ლები იყვნენ ჭკვიანი, გაგე ლნი, ღონიერნი, გაქნილნი, ტანნი, მედგარნი და ჩქ მოსიარულენი.

ეს რამოდენიმე ხანია, ყველა საკავშირო რესპუბ კის არმიებში უკვე დაიწ ასეთი ძაღლების გაწვრთნა მომზადება ომისათვის.

ასეთი გაწვრთნილი ძაღ ბი უკვე ქართულ წითელ რშიც არის.

მაგრამ მთავარი ყურადღ უნდა მიექცეს ჩვენს ნაწი ბში მათ შესაფერისს მოვლ და გაწვრთნას.



დასმენის როლში მყოფ ძაღლი.

ეს ახალი დასაწყისია ჩვ ჯარში და უნდა შევეცად რომ ეს საქმეც სათანადო ნეზე დავაყენოთ.

ალ. გორგაძ

# უმცროს მეთაურთა მომზადების შესახებ.

მაისის ბოლო რიცხვებში დაიწყო ტერ-ლეგიონების უმცროს მეთაურთა სკოლების შევსება 1902 წელში დაბადებულთა ვადამდე გაწვევით.

უმცროს მეთაურების მომზადების საქმეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს წითელი არმიის აღმშენებლობის საქმეში. ამიტომაც არის საჭირო, რომ უმცროს მეთაურთა მოსამზადებელ სკოლებში მოჰყვნენ ახალწვეულთა შემადგენლობიდან ისეთი მცოდნე და აქტიური ამხანაგები, რომელნიც შემდეგში წითელ არმიის უმცროს მეთაურის სახელს გაამართლებენ. თუ რა დიდი ამოცანები დგას უმცროს მეთაურის წინაშე, ჩვენ შეგვიძლია წავიკითხოთ წესდებაში სადაც სწერია, რომ „უმცროსი მეთაური არის პასუხისმგებელი წითელ-არმიელების სწავლების წარჩინებით ჩატარების საქმეში, ეხმარება ოცეულის თავს წითელ-არმიელების აღმზრდელობაში“.

როგორც ვიცით ტერიტორიალურ ნაწილებს ერთ-ერთ მთავარ მიზნათ აქვთ დასახული წარმატებით ჩაატარონ ცვალებადი შემადგენლობის შეკრება. ამ საქმეში ტერნაწილების უფროსთა შემადგენლობის მთავარ დამხმარეთ არიან უმცროსი მეთაურები, რომლის საკმაო რიცხვის უქონლობა მთელ რიგ დაბრკოლებებს ჰქმნის შეკრების ჩატარების საქმეში.—შეუძლებელია აგრეთვე მუშაობა ცვალებად შემადგენლობის შორის შეკრების გარეშე, თუ ტერნაწილს არ ჰყავს უმცროსი მეთაურები.

მეტად დიდი და მნიშვნელოვანია უმცროს მეთაურების მუშაობა ცვალებად შემადგენლობის შორის წითელ არმიის ძირითად ნაწილიდან განთავისუფლების შემდეგ. როდესაც ცვალებადი უმცროსი მეთაური იმყოფება სოფელში ან ქალაქში ცვალებად წითელ-არმიელებთან ერთად, მას დიდი შესაძლებლობა აქვს კარგად გაეცნოს ცვალებადი წითელ-არმიელებს, თვალყური ადევნოს მათ მუშაობას შეკრების გარეშე, აწარმოოს მათ შორის მუშაობა იმ მიზნით, რომ შემდეგ ეს მუშაობა გადატანილ იქნეს შეკრების დროს. მხოლოდ ასეთ მუშაობით და მტკიცე კავშირის გაბმით ცვალებად შემადგენლობასთან, შესძლებს უმცროსი მეთაური შეკრების ან მობილიზაციის დროს მოიყვანოს ცვალებად წითელ-არმიელები შეკრების დანიშნის ადგილას.

წითელ არმიელების აღმზრდელობის საქმეშიაც აგრეთვე დიდი როლი ეკუთვნის უმცროს მეთაურს.

პირველად ყაზარმაში გამოცხადების შემდეგ სოფლიდან მოსული წითელ არმიელი უფრო მეტის ნდობით უცქერის უმცროს მეთაურს, მეტ შეკითხვებს აძლევს მისთვის საჭირბოროტო საკითხებზე, ვიდრე უფროს. მეთაურს, ვინაიდან წითელ არმიელი სამსახურის მხრივ უფრო მეტად არის დაახლოვებული უმცროს მეთაურთან. ამის გარდა უკანასკნელი უმეტეს შემთხვევაში არის გამოსული გლეხობიდან და ამიტომ მეტიც ესმის გლეხ-ითეწლ-არმიელის სულისკვეთება.

წითელ-არმიელების სულისკვეთების გამომჟღავნება და გაგება მოგვცემს ჩვენ საშვალებას სათანადო მიმართულებით ვაწარმოოთ მათ შორის აღმზრდელობითი მუშაობა.

—იმ დიად აღმზრდელობითი მუშაობაში, რომელიც ტარდება წითელ-არმიაში ზემოაღნიშნულის ძალით, უმცროს მეთაურთა სკოლების შევსების საკითხი მეტად მნიშვნელოვანია. ტერნაწილების უფპოლიტ-შემადგენლობამ დიდი ყურადღებით უნდა მიუდგეს მოწვეულ წითელ-არმიელების შერჩევის საკითხს სკოლებისათვის. თავიდანვე უნდა მოხდეს მომავალ კურსანტების ცოდნის შემოწმება, რომ არ მოხდენ ისეთი კურსანტები, რომელთაც შემდეგში გაუჭირდებათ სწავლა და იძულებული გახდებიან სკოლა დასტოვონ.

ამ ჟამად მეტად დიდი ყურადღება ექცევა ნაციონალურ უმცირესობიდან უმცროს მეთაურების მზადების საქმეს. ქართულ დივიზიებში ეს უმთავრესად ოსებს და აფხაზებს ეხება.

ოსეთში და აფხაზეთში მდგომ ტერიტორიალურ ნაწილებს ეტყობოდა უმცროს მეთაურების სიმცირე იმ ერებიდან, სადაც უხდებოდა დგომა ამ ტერნაწილებს. ამჟამად ეს ნაკლიც იქნება გამოსწორებული ვინაიდან უმცროს მეთაურთა სკოლებში იქნება მიღებული საკმაო რიცხვი კურსანტებისა ოსეთიდან და აფხაზეთიდან, რომელნიც სკოლების დამთავრების შემდეგ ჩაირიცხებიან უმცროს მეთაურებად აღნიშნულ ოლქებში მდგომ ტერიტორიალურ ნაწილებში. ზემოაღნიშნულის ძალით საჭიროა, რომ სკოლებში ნაციონალურ უმცირესოებიდან უმცროს მეთაურების მზადებას მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ლეგიონების უმცროს მეთაურთა სკოლების ჩამოყალიბების შემდეგ კურსანტების საერთო შემადგენლობიდან უნდა იქნენ გამოყოფილი პარტიის და ახკომკავშირის წევრები უჯრედების დაარსებისათვის.

ცვალებად შემადგენლობის მომავალ შეკრებას შემოდგომაზე მომზადებულ უმცროს მეთაურთა შემადგენლობა უნდა დავახვედროთ.

ჩვენი ტერიტორიალური ნაწილები ისე უნდა იქნენ მომზადებულნი სამხედრო და პოლიტიკური მხრივ, რომ არავითარ შემთხვევაში არ ჩამორჩნენ წითელ-არმიის ძირითად ნაწილებს. წითელ-არმიელების სამხედრო და პოლიტიკური მომზადების საქმეში კი უმცროს მეთაურებს უჭირავთ ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ადგილი.

მეტი ყურადღება უმცროს მეთაურების მომზადების საქმეს.

ი. რუდოვსკი.

# ჩვენს ტერ-ნაწილებში.

## ველით ცვალებადელებს.

**6-ხე ლეგიონი.**

ეს რამოდენიმე დღეა რაც მეექვსე ლეგიონში შეწყვეტილი იქნა ყოველგვარი მეცადინეობა და მთელი ყურადღება გადატანილი იქნა ახალწვეულების შესახვედრ მუშაობისაკენ. თვე ნახევრის განმავლობაში გამუდმებულად სწარმოებდა მზადება და ბევრი საჭირო ნივთები და მასალები იქნა შეძენილი ჩვენი უფ-პოლიტშემადგენლობის მიერ.

ლეგიონი გრძნობს რომ დიდი საპასუხისმგებლო საქმე ევალება. ცვალებადთა სათანადო მომზადებისათვის ამიტომ არაფერს არ ვიშურებთ.—ახლად მოსულებმა ჩვენთან უნდა იგრძნონ მუშურ-გლეხური მთავრობის მთელი უპირატესობა და მშრომელებისადმი ერთგულება.

იმედია ამ საქმეს კიდევ უფრო ერთგულად მოკიდებენ ხელს ამხანაგები და შესაფერად დავხვდებით ცვალებადელებს.

მეთაური შაორელი.

## კარგად მოვეწყვეთ.

**მეხუთე ლეგიონის 2-რე ათასეული.**

ათასეული № ქალაქში ჩასვლისთანავე შეუდგა თავისი ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენებას. პირველ რიგში მოწყობილი იქნა საცხოვრებელი ბინები, რაშიდაც ენერგიული დახმარება გაგვიწია ადგილობრივმა ხელისუფლებამ. ათასეულის მეთაურმა თავიდანვე ჩაითრია ათასეულის მეთაურ-პოლიტშემადგენლობა მუშაობაში. შეძენილი იქნა ყველა საჭირო საგნები, მოვაწყვეთ ლენინის კუთხე და გავხსენით სამკითხველო. წვევამდელების მოსვლამ და მათთან მუშაობამ კიდევ უფრო გამოაცოცხლა ათასეული და ღირსეულად ჩაატარა მათი მომზადების საქმეც. ეს საუცხოვოდ დაამტკიცა გამოცდებმა, რომელიც დანიშნული იქნა წვევამდელთა ცოდნის შესაფასებლად. ამ ჟამად ათასეული ჩვეულებრივი ენერგიით ემზადება ცვალებად შემადგენლობის მისაღებად. აღრიცხვა (ცვალებად შემადგენლობის) ძლიერ კარგად იქნა ჩატარებული იმ თავითვე და იმედია ეხლა მათი გამოწვევის საქმე სრულიად უმტკივნეულოდ იქნება ჩატარებული.

მ. კობოხნიძე.

## როგორ დახმარებას უწევს აღმასკომი ტერ-მეთაურებს.

**მეექვსე ლეგ. 3-მე ათასეული.**

ზოგიერთ ადგილებში ჯერ კიდევ ვერ არიან გაცნობილი ტერ-სისტემას. განსაკუთრებით შეეხება ეს ადგილობრივ ხელისუფლებებს, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ ხშირად მისდით მათ ცირკულიარები და სხვა და სხვა ინსტრუქციები. აქ მომყავს ერთი მაგალითი № აღმასკომის საქციელიდან, რომელიც მან გამოიჩინა ხსენებულ ლეგიონის მესამე ათასეულის მეთაურებთან.

რამოდენიმე წითელი მეთაურები იდგენ ერთ ბინაზე, რომელშიდაც არ ვიცი რატომღაც აღმასკომმა მოინდომა ვიღაც კერძო მოქალაქის ჩასახლება. მეთაურებს კი მიუთითეს ვიღაც ყასაბის ერთ ვიწრო ოთახზე, რომელშიდაც შეუძლებელი იყო ოთხი მეთაურის მოთავსება.

მეთაურები მოითხოვდენ უფრო მოზრდილ ბინას.

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც მეთაურები სამეცადინოდ იმყოფებოდენ, აღმასკომმა გაგზავნა მილიციონერები, გამოყარეს მეთაურების ბარგი ოთახიდან და ჩაასახლეს შიგ ვიღაცა.

ამხ. მეთაურები კი დარჩენ ცის ქვეშ. მათ დღესაც ვერ უშოვიათ ბინა.

მოვითხოვთ ყურადღება მიექცეს ამ თავხედობას, რომ მას არ მოყვეს სხვა გაუგებრობაც.

საჭიროა მეტი ყურადღებით ექცეოდენ ტერ-მეთაურებს ადგილობრივ.

სამხკორი დ. ჭანკვეტაძე.

## ჩვენი დრამწრის საქმიანობიდან.

**მეექვსე ლეგიონი.**

ლეგიონის ყველა წრეებისაგან ძლიერ განირჩევა დრამატიული წრე თავისი ნაყოფიერი მუშაობით. ამ უკანასკნელ ხანებამდე წრის მომქმედი ელემენტები იყვენ უმთავრესად მეთაურები; წითელ არმიელები კი თითქმის ჩამოცილებული იყვენ დრამ-წრეში მუშაობას.

ამ უკანასკნელ ხანებში რეჟისორის მთელი ყურადღების ცენტრი გადატანილი იქნა არმიელებში და ყოველგვარ საშვალებებს მიმართვას მათი ამ საქმით დაინტერესებისათვის. წითელ არმიელების ძალებით წარმოდგენები იმართება სისტემატიურად თვეში ოთხჯერ, რასაც წინათ უჩვეულო მოვლენის ხასიათი ჰქონდა.

6 ივნისს წრემ დასდგა რევოლიუციონური პიესა „წითელი მეზღვაური". მთელი შემადგენლობა დიდი ყურადღებით ეკიდებოდა პიესას და უნდა ითქვას, რომ რამოდენიმეთ შესძლეს მისი დაძლევა.

წ. არმ. სამტრედიელი.

# ბანაკის ცხოვრება და მუშაობა

## მოგვეცით დალაქი.

პირველი ლეგიონის ქვეითა სამთო ბატარეის წითელ არმიელები ხშირად გაუპარსავი რჩებიან დალაქის უყოლობისა და სათანადო იარაღების უქონლობის გამო.

ამას წინად სამნეო ნაწილის უფროსმა მოგვცა ბატარეისათვის ერთი წვერის მოსაპარსი დანა და ერთი თავის საკრეჭი მანქანა, რომლებიც სრულიად უვარგისი აღმოჩდენ. პირდაპირ ვერ აუჯდით მათ ლესვას, მაგრამ ვერც ამ საშუალებამ დაგვიხსნა გაჭირვებისაგან. უვარგისი იარაღები, ისევ უვარგისად რჩებიან.

ჩვენი მდგომარეობა უფრო გაუარესდა ნაწილის ბანაკათ გასვლის შემდეგ. აქ არც კერძო დალაქები იშოვება და კიდეც რომ იყოს, ფულის გადახდა ძლიერ გაგვიჭირდებოდა.

საჭიროა მიაქციოს ამ მდგომარეობას სათანადო ყურადღება ჩვენი ნაწილის სამნეო ნაწილის უფროსმა, თორემ ბანაკიდან წვერიანები დავბრუნდებით.

ღელესპირელი.

## სამხედრო ტაქტიკას კარგად ვითვისებთ.

**სამხედრო პოლიტსკოლა.**

სამხედრო პოლიტსკოლის უფროსი კურსი ბანაკში ჩასვლის შემდეგ გამალებული აწარმოებს მეცადინეობას. განსაკუთრებით უძნელდებოდათ კურსანტებს სამხედრო ტაქტიკა, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში ღირსეულად იქნა დაძლეული. ეს მშვენივრად დამტკიცდა 6 ივნისის მეცადინეობით.

ერთ ერთ მაღლობზე ასვლის შემდეგ ჩვენს თვალის წინ გადაიშალა ბანაკის ახლო მახლო მიდამოები. აქედან ჩვენი ლექტორის დახმარებით საუკეთესოდ შევსძელით გაგნება ტაქტიკაში. ჯარის გაშლა ბრძოლის დროს, სად და როგორ, ბრძოლის დროს გამოსაყენებელ პუნქტების გაკვლევა და სხვა მშვენივრად წარმოვიდგინეთ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მაღლობზე ყოფნის დროს ძლიერ გაწვიმდა, კურსანტები მაინც არ ეშვებოდენ ლექტორის ახსნით გამოწვეულ შთაბეჭდილებათა უფრო დამახსოვრებას და ამ მიზნით დაჟინებით ათვალიერებდენ აღნიშნულ მიდამოებს.

მეცადინეობა ხალისიანად ჩატარდა მწვერვალზე და უფრო გახარებული დავეშვით კარვებისაკენ, რადგან მწვერვალზე ასვლამ გამოამჟღავნა თუ როგორ ადვილად შეგვძლებია აქამდე ძნელად შესათვისებელ სამხედრო ტაქტიკის გაგება.

კურსანტი აქ. ურუშაძე.

## ბანაკის შარა-გზა.

**მეთაურთა გაერთიანებული სკოლა.**

ჩვენი ბანაკის შარა-გზაზე უფრო საერთო ადგილი არა აქვთ აქ დაბანაკებულ სამხედრო ნაწილებს. ვერც კლუბი, ვერც ლენინის კარვები—ვერაფერი ისე ვერ აახლოებს წითელ-არმიელებს და კურსანტებს, როგორც ეს შარა-გზა...

დასვენების (კვირა) დღეს აქ გამოდიან ყველა: ქართველი კურსანტები—ან ესაუბრებიან სხვა, რომელიმე სკოლის კურსანტებს, ან ჩუმი და ტკბილი „ღიღინით" დასეირნობენ... ძალიან მცირე დრო კი რჩებათ ამ საქმისათვის, მაგრამ მაინც. აქ არიან; თათრები თავიანთი საოხუნჯო კუპლეტებით და „შიქასტათი", სომხები—საზანდარით და რუსები—სიმებიანი ორკესტრით, ბალალაიკით!

მოძრაობა და ლხენაა მთელ დღეს—ამ შარა-გზაზე! აქვე დაინახავთ წითელ-არმიელთა ჯგუფებს. ზოგი მღერის—ზოგი შაირებით უმასპინძლდება მეორე ჯგუფს.

სამხედრო სკოლების ლენინის კუთხეები მართავენ „რევოლიუციონური სატირის საღამოებს".

ქუჩიდან შემდეგ—აქ იკრებს თავს ახალგაზრდობა, მაგრამ „შარა-გზა" უფრო ფართოა, უფრო უბრალო და ბუნებრივი.

ამ შარა-გზაზე საქმის დღესაც არ გამოილევა წითელი ჯარის ნაწილები: მიდიან, მოდიან, დგანან, ვარჯიშობენ.

სხვა და სხვა ნაწილებიდან, სხვა და სხვა დარგის ჯგუფები... ოთხ ეროვნულ თავისებურობაში კიდევ მრავალი თავისებურობაა...

ქართ. ქვეითა ნაწილი განირჩევა საარტილერიო განყოფილებისაგან და ცხენოსნებისაგან!

მათ სხვა და სხვანაირი აქვთ: სვლა, სიმღერები და იერი! ყოველი ნაწილი ცდილობს განსხვავდეს მეორისაგან თავის მწყობრობით, სწორი სვლით და მხედრული გამომეტყველებით... ამ მხრივ შარშან ადერბეიჯანელები განირჩეოდენ—უკეთესები იყვნენ ყველაზე.

შარა-გზაზე ცხენოსნის გამოჩენას კაცი ხმით იცნობს, მათი სიმღერებიც სულ სხვანაირია...

ყველას საერთო მიზანია: უკეთესი სროლის შესწავლა... ამაზე შარა-გზაზედაც ხშირადაა სჯა-ბაასი: ლაპარაკობენ სნაიპერებზე, საავიაციო სროლაზე და სხვა.

საღამო—გართობების გამართვაში რუსები მეტ ენერგიას იჩენენ; ისინი უფრო დახელოვნებული და შეიარაღებულნიც არიან!

ამ მხრივ ყველა სკოლები ოცდამეერთე სკოლას უნდა გაუსწორდენ!

მაშინ „შარა-გზა"-ც უფრო ლამაზი და შინაარსიანი იქნება!

სამხკორი ჩვენი.

## ახკომკავშირელთა შორის.

**მეექვსე ლეგ. ახალგაზრდათა უჯრედი.**

6 ივნისს შესდგა ჩვენი ლეგიონის ახკომკავშირელთა მეორე უჯრედისა და ცეკავშირის საქსოვი ქარხნის ახალგაზრდათა უჯრედ ს გაერთიანებული კრება.

გაერთიანებული კრების დღის წესრიგში შემდეგი საკითხები იდგა გასარჩევად: დისციპლინის, სამოქალაქო ორგანიზაციებთან და ცვალებად შემადგენლობასთან მომავალი მუშაობის შესახებ.

დისციპლინისა და სამოქალაქო ორგანიზაციებთან კავშირის საქმეში, როგორც გამოირკვა მოხსენებიდან, ადგილი ჰქონია ზოგიერთ დეფექტებს. მომხსენებლებმა მიუთითეს იმ ღონისძიებებზე, რომელთა საშვალებით უფრო ადვილად იქნებოდა შესაძლებელი მათი გამოსწორება.

ცვალებადთა შორის მომავალი მუშაობის შესახებ მომხსენებელმა უმთავრესი ყურადღება მიაქცია, დივიზიის კომკავშირში მომუშავე ორგანიზატორების თათბირზე გამომუშავებულ პრაქტიკულ მითითებებს და რეზოლიუციებს, რაც ერთხმად მიიღო კრებამ.

მიმდინარე საკითხებში შემოტანილი იქნა წინადადება იმ ამხანაგების შესახებ, რომლებიც არ ესწრებიან კრებებს, რათა მათ შესახებ ეცნობოს კომუჯრედს სათანადო ზომების მისაღებათ, რაც კრებამ ერთხმად მოიწონა.

წულაია.

## კედლის გაზეთს ვერ ვკითხულობთ!

1-ლ ლეგიონში გამოდის ბიურო კოლექტივის ყოველ ორკვირეული კედლის გაზეთი.

უნდა ითქვას, რომ გაზეთი თავის შინაარსით კარგია, სხვა და სხვა განყოფილებებით.

ყველაზე უფრო წ.-არმიელებს მოსწონთ მასში იუმორისტული განყოფილება, რომელშიაც ხშირად იწერება სახუმარო წერილები კარიკატურებით.

მაგრამ ამავე დროს, ჩვენს კედლის გაზეთს ერთი დიდი ნაკლიც აქვს. კედლის გაზეთის წერილებს ბეჭდავენ მანქანაზე და შემდეგ აწეპებენ გაზეთის ფურცლებზე. გაზეთის დამზადების შემდეგ გამოიტანებენ მას გარეთ, მზეზე წასაკითხავათ და მეორე დღეს, რომ მიხვიდეთ და ნახოთ ნაწერი სრულებით ფერ გადაკრული და ამოშლილია, რის გამოც წ.-არმიელები რამოდენიმე დღის შემდეგ ველარ კითხულობენ ამ გაზეთს. ყველას არ შეუძლია გაზეთის გამოსვლის პირველ დღესვე წაკითხვა.

ამიტომ საჭიროა სარედაქციო კოლეგიამ მიაქციოს ყურადღება ამ მდგომარეობას და გაზეთი დაწერონ ხელით და არა მანქანაზე, რის შემდეგ არავინ არ დარჩება, რომ არ წაიკითხოს ჩვენი კედლის გაზეთი.

სამხკორი კ—შა.

## ყურადღება ასეთ მოვლენას.

პირველი ლეგიონის სკოლის მამასახლისმა ამხ. ტაბატაძემ ორი თვის წინად სკოლის თითეულ მსმენელს დაუკავა ჯამაგირებიდან ხუთ-ხუთი შაური, რომლითაც უნდა ეყიდნა მათთვის წარწერილი ნიშნები. მაგრამ ამხ. ტაბატაძეს ფულის მოგროვების შემდეგ ნიშნების შეძენა სრულიად დაავიწყდა.

ამხ. ტაბატაძემ ანგარიში უნდა გაუწიოს კურსანტთა დავალებას და უკვე მოგროვილ ფულით უნდა შეიძინოს ნიშნები.

ამასთანავე ერთად სკოლაში ამხ. ტაბატაძეს თითქმის ყოველი კურსანტისაგან აქვს გამორთმეული სესხად ფული, რომლის დაბრუნებას აღარ ფიქრობს და თითქოს სრულიადაც მიავიწყდა. მსმენელებს მობეზრდათ ფულის თხოვა, რადგან ტაბატაძე ყოველთვის უარით ისტუმრებს მათ.

ნუ თუ ასე უნდა მოეპყრას სკოლის მსმენელებს ამხ. ტაბატაძე. მსმენელებს რამდენი ფული აქვთ, რომ ისიც მამასახლისმა შეუჭამოს?

საჭიროა მიექცეს ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება და მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

სამხკორი მ.—ლი

## საზარელი ამბავი.

შაბათს 30 მაისს საარტილერიო ლეგიონის წითელი არმიელი ამხ. იმედაძე და უმცროსი მეთაური ამხ. ბაგაშვილი წასულან მდინარე რიონზე ორთვალეების გასარეცხად და სილის მოსატანად.

ზემოაღნიშნულ პირებს ორთვალეები ჩაუყენებიათ ცხენებით ღრმა და ჩქარ მიმავალ წყალში. ჩქარ მიმავალ წყალს გადაუბრუნებია ორთვალა და მასზე მდგომი ბაგაშვილი ქვეშ მოუტნევია და წყალს გაუტანია ის ცხენებთან ერთად.

ეს საზარელი ამბავი ჩვენ შევიტყვეთ დღის 12 საათზე, რამაც ყველას თავსზარი დასცა და დაალონა.

ამხ. ბაგაშვილი დღის 4 საათზე ვიპოვეთ დამხრჩვალი. მასთან ერთად დაიხრჩო ორი ცხენიც.

წითელ არმიელი ბაგაშვილი იყო ყველას საყვარელი და ბეჯითი ამხანაგი, ჩვენს ნაწილში.

სამხკორი ტრაქტორი.

## ამხ. ილია მამასახლისის ხსოვნას.

მეოთხე ტერ. ლეგიონის მთელი შემადგენლობა ძლიერ დაამწუხარა ყველასათვის საყვარელ წ. არმიელის ამხ. ილია მამასახლისის ტრაღიკულად გარდაცვალებამ.

21 მაისს საღამოს თავის რევოლვერით უცაბედათ მძიმეთ დაიჭრა ამხ. ილია.

გასინჯვის დროს ამხანაგს გაუვარდა ნაგანიდან ტყვია და მუცელში დასჭრა ამხ. ილია.

ადგილობრივ ქალაქის საავადმყოფოში მიღებულმა ზომებმა და ტფილისიდან გამოწვეულ ქირურგმა ვერ უშველეს ამხანაგს. 2 ივნისს ის სამუდამოთ გამოესალმა თავის საყვარელ საქმეს და ტოლამხანაგებს.

ამხ. ილია იყო ქუთაისის მაზრის სოფ. გორას ღარიბი გლეხის შვილი. წითელი არმიის რიგებში ის გამოწვეული იქნა გასული წლის მაისში. მან ჯარში შეისწავლა ყველაფერი, დაამთავრა უნცროს მეთაურთა სკოლა და სრულიად შეგნებულად მტკიცედ იდგა შშრომელთა ხელისუფლების სადარაჯოზე.

ამხ. ცხედარი ლეგიონმა გადააგზავნა მის სამშობლო სოფელში. მთელმა შემადგენლობამ პატივი სცა მატარებლამდე მიცილებით, სადაც წითელ არმიელებმა შეჰფიცეს ცხედარს, რომ გულმოდგინეთ ემსახურებიან მის საყვარელ საქმეს და ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენენ მის მოხუც მშობლებს.

სამხკორი ჯლანკი.

## ორთა ღაღადი და სინამდვილე.

სიღნაღის მაზრის სამხედრო კომისრის განკარგულებაში ამა წლის 18 იანვარს მოევლინენ 3 წითელი მოლაშქრე 1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონიდან და თან მოიტანეს კმაყოფის ატესტატები, გარდა ჯამაგირისა და ტანსაცმელისა. მათი კომისარიატში გამოცხადებისთანავე აღიძრა შუამდგომლობა სათანადო ატესტატების გადაცემით მე-6 ლეგიონის მე-9-რე ასეულის უფროსის წინაშე, რათა ჩაერიცხა წითელი მოლაშქრენი ატესტატების თანახმად მისდამი რწმუნებულ ასეულში (მიმართვა ა. წ. 19 იან. № 100). ამავე დროს იმავე საგანზე გაეგზავნა პატაკი ს. ს. ს. რ. სამხედრო კომისარს (ა. წ. 19 იან. № 103). მე-9-რე ასეულის უფროსმა უარი სთქვა მათ ჩარიცხვაზე სურსათის უქონლობის გამო, რისთვისაც ხელმეორეთ აღიძრა კომისარის მიერ შუამდგომლობა სათანადო განკარგულებისთვის ს. ს. ს. რ. სამხედრო კომისარისადმი. პასუხი ისეთივე იყო, როგორც მოიქცა მაზრის სამხედრო კომისარი.

სანამ ეს კანცელიარული მიმოწერა სწარმოებდა კომისარის მიერ გადაცემულ იქნა მე-9-რე ასეულისათვის პირადი ულუფიდან ფქვილი, ოთხი ფუთი და 13 გირვანქა, კერძის დასამზადებლათ—კი ფულად რვა მანეთი. ამით, დროებით მაინც, თითქოს მოგვარდა საკითხი.

განმეორებით მიმართვებზე ვღირსეთ ცნობის მიღებას, რომ წითელი მოლაშქრენი, მივლინებულნი სიღნაღის მაზრის სამხედრო კომისარიატში, ჩარიცხული არიან მე-6 ლეგიონის მე-9-რე ასეულში და დაკმაყოფილებული იქნებიან გარდა ტანსაცმელისა და ჯამაგირისა. ეს დაადასტურეს მე-9-რე ასეულის უფროსმა ამხ. იორამაშვილმა და პოლიტხელმა ამხ. ჰანკვეტაძემ. იმედი მოგვეცა, რომ წითელი მოლაშქრენი აწი მაინც მიიღებენ ატესტატის თანახმათ ყველაფერს. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ უარი უთხრა ჯასეულმა ამხ. წით. მოლაშ. პურის მიცემაზე. შეკითხვამ გამოარკვია: „მართალია ჩარიცხული არიან, მაგრამ ჩვენ არ ვღებულობთ მათზე არაფერს და ამიტომ არც მივცემთო"—იყო პასუხი ასეულის უფროსისა.

ჯამაგირის შესახებ, რომელზედაც სწერს ამხ. შონია (იხ. გაზ. „წითელი არმიელი № 111) სინამდვილე ამბობს: იმას, რომ ჯამაგირები ეგზავნებოდათ ხსენებულ წითელ არმიელებს ძლიერ დაგვიანებით, მხოლოთ როცა ჩვენ თითონ მივაკითხავდით მის შემდეგ.

ამხ. ამხ. ჰანკვეტაძე და შონია კამათობენ სამხედრო კომისარიატში მოვლინებულ წით. არმიელების პოლიტ მომზადების შესახებ და ბოლოს დასკვნა ასეთი შეიძლება გამოვიტანოთ, რომ ამაში დამნაშავეა სამხედრო კომისარი. სინამდვილე კი აი რას ამბობს: მოვლინებული წითელი არმიელები ჩაბმული არიან სამხედრო კომისარიატთან არსებულ რემედასისა და საჰაერო-ფლოტის მეგობართა საზოგადოების უჯრედებში, ყოველთვის ესწრებიან მის კრებებს და აგრეთვე მუდამ დადიან კომუჯრედის ღია კრებებზე, სადაც გადიან პოლიტიკურ ანბანს. კვირაში ერთხელ დადიან თეატრში წარმოდგენებზე და სურათებზე. საკმაოთ აქვთ წიგნები, ხდება საზოგადო ხმა მაღლა კითხვა ახსნა განმარტებით და სხვა.

ხშირად სარგებლობენ მე-9-რე ასეულის წიგნსაცავ—სამკითხველოთი.

(შემდეგი იქნება)

სიღნაღის მაზრის სამხედრო კომისარიატი.

## ამბები სოფლებიდან.

**სოფ. ამბროლაურში.**

ეს რამოდენიმე ხანია, რაც სოფ. ამბროლაურში (ქვემო რაჭა) აღმასკომის ინიციატივით ეწყობა ყოველ კვირაობით, ბაზრობა. ბაზრობაზე შემოაქვთ როგორც ქალაქის ისე სოფლის ნაწარმოებნი. ახლო-მახლო სოფლების გლეხები დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამენ აღნიშნული ბაზრობის მოწყობით.

**ტეხნიკოსების მოწვევა.**

სიღნაღის აღმასკომმა მოიწვია მაზრაში სამუშაოთ კიდევ ორი ტეხნიკოსი.

**ჰიდრო-ელსადგურის აშენება.**

მდინარე სტორზე (თელავის მაზრა) ჰიდრო-ელექტრო სადგურის ასაშენებლათ თელ. აღმასკომის თაოსნობით უკვე შეუდგენ გეგმის შედგენას, რომელიც წარდგენილი იქნება დასამტკიცებლათ სახ. საგეგმო კომისიაში. გადაწყვეტილია მაზრის სოფლებში ჩატარებულ იქნეს კამპანია სადგურის მნიშვნელობის შესახებ და გამოითხოვონ სესხი ახლად დაარსებული ელექტრო-ბანკიდან.

**სატყეო ტეხნიკუმი.**

სიღნაღის აღმასკომმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა სახ. განათლ. კომისარიატის წინაშე ჰიაურში სატყეო ტეხნიკუმის გახსნის შესახებ.

**სახელწოდების შეცვლა.**

თელავის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა რკ. გზის სამმართველოს წინაშე სადგურ ვაჩნაძიანისათვის სახელწოდების შეცვლის შესახებ. აღნიშნულ სადგურს დაერქმევა „სადგ. შრომა".

## ახალი ამბები.

— **დუშეთში არსებულ ყაზარმების** შესაკეთებლათ ტფილისის აღმასკომმა გადასდო 6.490 მანეთი.

— **„სოფლის კომუნისტი."** ახალი გაზეთის, „სოფლის კომუნისტის-"ს სასარგებლოთ ტფ. ქალ. აღმასკომმა გადასდო 2 ათასი მანეთი.

— **ქალაქის ბანკის ძირითადი თანხა**, ტფილ, აღმასკომის დადგენილებით გადიდებულ იქნა 1 მილიონი მანეთით.

— **საზოგადო სამუშაოები.** ტფ. აღმასკომმა დაადგინა მოაწყოს საზოგადო სამუშაოები ქალაქის გამშვენიერების მიზნით და უმუშევრობასთან საბრძოლველათ.

— **ტყის მოშენება კოჯორში.** სატყეო განყოფილება შეუდგა კოჯორში ტყის მოშენებას 5 დესეტინის სივრცეზე.

— **შირაქის არხი.** 21 ივნის ლენინაკანში გაიხსნება სომხეთის ცაკის სესია. ამავე დღეს გაიხსნება შირაქის არხი.

— **საქონლის ჭირი.** მიწად მოქმედ. კომისარიატის ცნობით ბორჩალოს მაზრაში კვლავ გაჩენილა საქონლის ჭირი.

— **სანატორიუმების და** დისპანსერების შესანახათ დამზღვევმა სალარომ მაისის განმავლობაში დახარჯა 11.256 მანეთი.

— **გოგირდი საფრანგეთიდან.** ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა გამოიწერა საფრანგეთიდან 20 ათასი ფუთი გოგირდი ბამბის მავნეებთან საბრძოლველათ.

— **დახმარება ინვალიდებს** მაისის განმავლობაში ტფ. დამზღ. კასამ შრომის ინვალიდებს დაურიგა 11.141 მან.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**შეიძლება თუ არა ჭლექიანების ნერწყვით ჭლექის გადადება?**

ამ უკანასკნელ ხანებამდე ჭლექით დაავადმყოფებულ ადამიანთა ნერწყვის შესახებ, თუ რამდენად საშიშია ის ჭლექის ბაცილების გავრცელების მხრივ, მედიცინაში არ იყო ერთი გარკვეული აზრი. ზოგიერთები ამტკიცებდა, რომ შესაძლებელია გადაედვას ადამიანს ჭლექის ბაცილები ავადმყოფთან ახლო მანძილზე ლაპარაკის დროს, ან კოცნით—ნერწყვის საშუალებითო და სხვა. ზოგიერთები კი სრულიად უარყოფდენ ასეთი წესით ბაცილების გავრცელებას, რადგან ნერწყვში ისინი სრულიად არ მოიპოვებიანო.

ამ საკითხის საბოლოო გამორკვევის მიზნით გერმანელმა ექიმმა მოახდინა ცდები 74 ჭლექით დაავადმყოფებულთა კაცის ნერწყვზე. ნერწყვის განხილვა—ანალიზი ხდებოდა რამოდენიმეჯერ დღეში. ცდებმა გამოარკვია შემდეგი. 74 ავადმყოფიდან მხოლოდ 5 ავადმყოფის ნერწყვში აღმოჩნდენ ჭლექის ბაცილები, მაგრამ ხუთივე ეს ავადმყოფები დაავადებული იყვენ ფილტვების ჭლექის გაძლიერებული—უკანასკნელი— მოურჩენელი ფორმით და ორგანიზმის მეტის მეტად დაავადების გამო არ აღებიებდათ ნახველს. თავისი ცდებით ექიმი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ნერწყვის საშუალებით ჭლექის ბაცილების გავრცელების საშიშროება არც ისე დიდია, რადგან ნახველის ამოღებინებით იწმინდება პირის სიღრუე.

ამნაირად ჯანმრთელებზე ჭლექის გადადების უმთავრეს—მიზეზად უნდა ჩაითვალოს, ჭლექით დაავადმყოფებულთა ნახველის მოურიდებლობა.

## რადიო კუთხე.

**რადიო როგორც სამკურნალო საშვალება.**

ცნობილი ლონდონის ქირურგი პარტერი ხმარობს რადიოს როგორც საუკეთესო საშვალებას უძილობის წინააღმდეგ.

**მიწის ქვეშა ანტენა.**

ერთმა ამერიკელმა, რომელიც სცხოვრობს მეტის მეტად ქარბუქიან მიდამოებში, მოაწყო 16 მეტრიანი ანტენა მიწის ქვეშა გასავალ ხვრელში, რომელიც იმყოფებოდა მისი საცხოვრებელი ბინის ახლო.

შედეგი ის იყო, რომ რადიო ცნობათა მიღების ინტენსიურობა ძლიერ გაიზარდა და შესაძლებელი შეიქნა იმ სადგურების მოსმენა, რომლებიც აქამდე არ ისმოდენ.

**კარგი გამოგონება.**

პარიზში ერთ ახალგაზრდა ფრანგ მეცნიერს თავისი განსაკუთრებული ხელსაწყოს საშვალებით მიუღწევია იქამდე, რომ რადიოტელეფონის მიღების დროს სრულიად მოესპო ატმოსფერისაგან და სხვა მიზეზების მიერ გამოწვეული ხმაურობა.

**პროფესორ ტესლის აღმოჩენა.**

ცნობილი ფიზიკოსი ტესლი ამჟამად ძლიერ ბევრს მუშაობს ენერგიის მანძილზე უმავთულოდ გადაცემის გარშემო. ამჟამად, როგორც უცხოეთის პრესა იტყობინება, თავის მუშაობაში მას მიუღწევია ფრიად მნიშვნელოვან შედეგებისათვის, და თავისი ახალი აღმოჩენის შემწეობით, შესძლო მანქანების, გემებისა და ჰაეროპლანების ამოძრავება და მათი მართვა თავისი კაბინეტიდან.

**კრისტალის დეტექტორი.**

ინგლისელი რადიო მოყვარული სტაფოლდიმ, მის მიერ დამზადებულ კრისტალის დეტექტორიან რადიო მიმღების საშვალებით გასული ზამთრის განმავლობაში, რამოდენიმეჯერ მიიღო ამერიკის ერთერთ ქალაქის ძლიერი რადიო სადგურიდან ცნობები. ეს გარემოება სარეკორდო მიღწევად უნდა ჩაითვალოს კრისტალის დეტექტორიანი რადიო მიმღები სადგურისათვის, რომელსაც აქამდე მხოლოდ რამოდენიმე ასეული ვერსის მანძილიდან შეეძლო ცნობების მიღება.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. არ დამფარველს.** თქვენი კორესპონდენცია „ასეთებს ადგილი არ უნდა ქონდეს წითელ ჯარში" არ გავა. ამის შესახებ უკვე ეცნობა თქვენი ლეგიონის სამხედრო კომისარს.

**1-ლ ლეგიონის შტაბის უფროსის თანაშემწეს ამხ. შონიას.** თქვენი წერილი „ალიონის" წერილის შესახებ არ გავა. ამ საპასუხო წერილითა და სხვა მთელ რიგ წერილებით თვითონვე ადასტურებთ ამხ. ალიონის კორესპონდენციის სიმართლეს. ეს იმით მტკიცდება, რომ თქვენ მიერ გამოგზავნილი წერილები და ეს უკანასკნელი კორესპონდენციაც დაბეჭდილია მანქანაზე, რისი დაწერა ხელითაც შეგეძლოთ და აღარ გააცდენდით ლეგიონის საქმეებით დატვირთულ მემანქანე ქალებს.

**ქუთაისის საგაზეთო კანტორას.** თქვენ მიერ გადმოგზავნილი ფული მიღებულია დაგვიანებით 10 ივნისს. გაზეთები გადმოგეგზავნებათ 12 ივნისიდან.

**მეექვსე ლეგიონის მესამე ათასეულს.** თქვენ მიერ გამოწერილი გაზეთების გზავნა შეგიწყდებათ თუ არ გადმოგზავნით ფულს.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

## განცხადებები

ტფილისის და მისი რაიონების მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ 15-დან 19 ივნისამდი ყოველდღიურად ნავთლუღვაზიანის გადასარბენზე, ავლაბრის ტბის რაიონში ჯავშნიან მატარებლების მე-7 დივიზია აწარმოებს ქვემეხების გამიზვნას (სროლას), ხოლო 22-დან 27 ივნისამდი იმავე ადგილზე ხსენებულ დივიზიონის მიერ იწარმოებს სამოსწავლო-სატყვიამფრქვევო სროლა.

ქალაქის კომენდანტის თანაშემწე
გეგელაშვილი.
ადმინ.-სამნეო განყ. უფროსი ნაკაშიძე.

1923 წელში „ევკოგრუზის" გამგეობის დადგენილებით მისი კოოპერატივებიდან მიეცათ საქონელი ნისიათ ჩვენი ნაწილების უფ-პოლიტ-შემადგენლობას.

ეს ფული უნდა გადაეხადათ 3 თვის განმავლობაში, მაგრამ გადის მას შემდეგ რამოდენიმე წელი და ეს დავალიანება ჯერაც არ არის გადახდილი. ამ გარემოებამ სამხედრო კოოპერატივი ჩააყენა უკიდურეს მდგომარეობაში. ამიტომ „ევკოგრუზის" გამგეობა განმეორებით აცნობებს, ვისაც ეს ეხებათ, და უკანასკნელათ აფრთხილებს, შემოიტანონ თავიანთი ხვედრი დავალიანება, დღეის რიცხვიდან 15 დღის განმავლობაში წინააღმდეგ შემთხვევაში გამგეობა იძულებული იქნება მიმართოს სასამართლოს ამ ფულების იძულებითი წესით ასანაზღაურებლად.

„ევკოგრუზი"-ს გამგეობა.